



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კაპარჭინა



კაპარჭინა

კაპარჭინა [*Abramis brama* (Linnaeus, 1758)], მტკნარი წყლის ნახევრად გამსვლელი თევზი. მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (*Cyprinidae* Fleming, 1822), კაპარჭინების გვარს - *Abramis* Cuvier, 1816; მისი მაქსიმალური სიგრძეა 75 სმ (საშუალო - 45 სმ), მასა - 6 კგ და მეტი. ბინადრობს უმეტესად მდინარის ქვემო დინებაში, მცენარეებით მდიდარ მდორე ადგილებში. უპირატესობას

ანიჭებს ტბებს. სქესობრივად მწიფდება 3-4 წლის ასაკიდან. მრავლდება აპრილიდან ივლისამდე. ნაყოფიერება აღწევს 90-700 ათ. ქვირითს. იკვებება ძირითადად კიბოსნაირებით, მოლუსკებით, ჭიებით, უმეტესად ქირონომიდებითა და წყალმცენარეებით. საქართველოში გავრცელებულია შავ ზღვაში ჩამდინარე ბოგიერთ მდინარეში (სუფსა, რიონი, ტეხური, ჭურია, თიქორი, ენგურის ქვემო დინება), პალიასტომისა და ნაბადას ტბებში. გვხვდება ევროპასა და აზიაში - აღორიდან (საფრანგეთი) პეჩორამდე (თეთრი - ზღვის აუზი), ეგეოსის ზღვაში, მარმარილოს ზღვის აუზში (თურქეთი), აღმოსავლეთით - არალის ზღვამდე. ინტროდუცირებულია ირლანდიაში, ესპანეთსა და ჩრდ.-აღმ. იტალიაში, ბაიკალის ტბაში, ობის ზემო დინებასა და ენისეის აუზში.

საქართველოში სამეურნ. მნიშვნელობა არა აქვს. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მონაცემით საჭიროებს ზრუნვას.

ლიტ.: ნ ი ნ უ ა ნ., ჯ ა ფ ო შ ვ ი ლ ი ბ., ბ ო ტ ო რ ი შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Б о г у ц к а я Н., Н а с е к а А., Каталог бесчелюстных и рыб, М., 2004.

